



## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 199

ქალაქი ქუთაისი 28 ოქტომბერი 2015 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის  
25 თებერვლის №116 განკარგულებაში ცვლილების შეტანის  
თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

**მუხლი 1.** „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №116 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ამოღებულ იქნეს პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმიდან №121 პუნქტი.
2. საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატოს №545–№560 პუნქტები თანდართული რედაქციით.

/დანართი განკარგულებას თან ერთვის/

**მუხლი 2.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

**მუხლი 4.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოადგილე

ნიკოლოზ ლატარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და  
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონით განკარავის ფორმა (პირობით ან უპირობოდ)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
1	2	3	4	5	6	7	8
545	მიწის ნაკვეთი	ახალგაზრდობის გამზირის პირველი შესახვევი №29-ის სამხრეთით	45.0	03.06.25.490	90.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში
546	მიწის ნაკვეთი	ილ. ჭავჭავაძის გამზირი №45-ის სამხრეთით	111.0	03.04.30.479	90.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში
547	მიწის ნაკვეთი	ბუკიას ქუჩა №13-ის სამხრეთით	69.0	03.01.24.536	38.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში
548	მიწის ნაკვეთი	ირ. აბაშიძის გამზირი №31-ის დასავლეთით	121.0	03.01.24.535	125.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში
549	მიწის ნაკვეთი	რუსთაველის გამზირი №9ბ-ს დასავლეთით	185.0	03.03.21.520	180.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში
550	მიწის ნაკვეთი	ხარებავას ქუჩა №5-ის სამხრეთით	180.0	03.01.23.408	25.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში
551	მიწის ნაკვეთი	ახალგაზრდობის გამზირი №98-ის აღმოსავლეთით	47.0	03.06.25.494	60.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში
552	მიწის ნაკვეთი	ბუკიას ქუჩა №13-ის სამხრეთით	680.0	03.01.24.541	25.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში
553	მიწის ნაკვეთი	ბუკიას ქუჩა №13, ნაკვეთი №1	464.0	03.01.24.542	25.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში
554	მიწის ნაკვეთი	ილ. ჭავჭავაძის გამზირი №2-ის აღმოსავლეთით, ნაკვეთი №1	527.0	03.04.32.687	90.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში
555	მიწის ნაკვეთი	ილ. ჭავჭავაძის გამზირი №2-ის აღმოსავლეთით, ნაკვეთი №2	414.0	03.04.32.688	125.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში
556	მიწის ნაკვეთი	ილ. ჭავჭავაძის გამზირი №2-ის აღმოსავლეთით	691.0	03.04.32.689	90.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში

557	მიწის ნაკვეთი	ჩხოზაძის ქუჩა №20-ის აღმოსავლეთით, ნაკვეთი №1	515.0	03.01.23.412	25.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში
558	მიწის ნაკვეთი	ჩხოზაძის ქუჩა №20-ის აღმოსავლეთით, ნაკვეთი №2	515.0	03.01.23.411	25.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში
559	მიწის ნაკვეთი	ჩხოზაძის ქუჩა №20-ის აღმოსავლეთით	515.0	03.01.23.413	25.0 1 კვ.მ.-ზე	უპირობო	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში
560	შენობა-ნაგებობა	ა. წერეთლის ქუჩა №160	1558.0 მიწა შენობა №1 – 2146.77 კვ.მ. სამეურნეო ფართი – 295.92 კვ.მ.	03.06.21.171	2500.0 ლარი დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი მეორადი მასალების საწყისი საპრივატიზებო საფასური, დემონტაჟის ხარჯების გამოკლებით	პირობით: შენობა-ნაგებობის დაშლა-გატანის შემდგომ, მყიდველი ვალდებულია განახორციელოს ტერიტორიის გასუფთავება საამშენებლო ნარჩენებისგან	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში

საკრებულოს თავმჯდომარის

მოადგილე

ნიკოლოზ ლატარია